

რეკომენდაცია

არასრულწლოვანთა 24 საათზე მეტი ხნით მესამე პირების მიერ სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებზე გაყვანასთან დაკავშირებით

არასრულწლოვანთა 24 საათზე მეტი ხნით მესამე პირების მიერ სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებზე გაყვანასთან დაკავშირებით, ღონისძიების ხელმძღვანელის/ორგანიზატორის მიერ გათვალისწინებულ უნდა იყოს შემდეგი გარემოებები:

1. ტრანსპორტირება - განხორციელდეს იმ ოფიციალური გადაზიდვების (მენარმე თიზიკური ან იურიდიული პირის) მიერ, რომლებსაც გავლილი აქვთ ტექდათვალიერება, სატრანსპორტო საშუალება დაზღვეულია (აქვს მგზავრების დაზღვევა), ყავს კვალიფიციური (შესაბამისი კატეგორიის მართვის მოწმობის მქონე) მძღოლი და გადაზიდვა კომპანია იღებს პასუხისმგებლობას მგზავრობის უსაფრხოებაზე და ტრანსპორტის გამართულობაზე. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანთათვის უზრუნველყოფილ იქნეს ტრანსპორტირება მათი საჭიროების გათვალისწინებით.

2. მეთვალყურეობა არასრულწლოვანზე -

ა) ტრანსპორტირების დროს, დროებითი განთავსების ადგილებში/ბანაკებში, ორგანიზებულ ჯგუფებში (სადაც ორგანიზატორის მიერ არ არის უზრუნველყოფილი ექიმისა ან/და ექთნის 24 საათიანი მომსახურება) იმ პირთა შორის რომლებიც იღებენ არასრულწლოვნებზე მზრუნველობის პასუხისმგებლობას უნდა იყოს სულ მცირე ერთი სრულწლოვანი, ქმედუნარიანი პირი, რომელსაც გავლილი აქვს „პირველადი (ექიმამდელი) სამედიცინო დახმარების კურსი“.

ბ) ღონისძიების ხელმძღვანელმა/ორგანიზატორმა ან/და მეთვალყურეობის განმახორციელებელმა პირმა, შესაბამის უფლებამოსილ პირს (მაგ. სსიპ-ის ხელმძღვანელს, პროექტის კოორდინატორს/კურატორს), მოთხოვნისთანავე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნდა წარუდგინოს ამომწურავი

ინფორმაცია მისი ნასამართლობის ისტორიის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

გ) მეთვალყურეობის განმახორციელებელი პირს არ უნდა აღენიშნებოდეს ისეთი ნოზოლოგიები, რომლის ხასიათმა, სიმძიმემ და ხანგრძლივობამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას არასრულწლოვნებს. ამასთან, ღონისძიების ხელმძღვანელმა/ორგანიზატორმა უნდა იხელმძღვანელოს გონივრული მისადაგების და უნივერსალურობის პრინციპით და სიტუაციის შეფასება არ უნდა ატარებდეს დისკრიმინაციულ ხასიათს.

3. არასრულწლოვანთა განთავსების ადგილი - უნდა აკმაყოფილებს სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებს, შენობაში განთავსების შემთხვევაში ნაგებობა აშენებული უნდა იყოს სამშენებლო სტანდარტების და შესაბამისი ნებართვების საფუძველზე და უნდა ჰქონდეს გამართული ინფრასტრუქტურა; არასრულწლოვანთა განთავსების ადგილას დაცული უნდა იყოს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და ტემპერატურული რეჟიმი. ასევე, არასრულწლოვანთა განთავსების ადგილას დაცული უნდა იყოს ტოქსიკური და ფეთქებადი ნივთიერებების მოხმარებისა და განთავსების წესები და გამიჯნული უნდა იყოს ინდივიდუალური და საზოგადო თავშეყრის ადგილები; შებენიერი შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანთათვის ადაპტირებულ იქნეს განთავსების ადგილი მათი საჭიროების შესაბამისად.

4. არასრულწლოვანთა კვება - მალფუნქციონირებადი პროდუქტების ტრანსპორტირება უნდა ხორციელდებოდეს სანიტარული პირობების დაცვით, კვების ობიექტზე დაცული იყოს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, ხოლო საკვები პროდუქტები უნდა იყოს უსაფრთხო და აკმაყოფილებდეს საკვები პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების ჰიგიენურ ნორმატივებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. სამოგზაურო დაზღვევა - ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამოგზაურო დაზღვევა უნდა ატარებდეს სავალდებულო ხასიათს.

6. არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენლების თანხმობა - ღონისძიების ორგანიზატორს უნდა ჰქონდეს მშობლის/მშობლების (მეურვეების, არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენლების) თანხმობა ან/და ხელშეკრულება (სასურველია ნოტარიულად დამოწმებული ფორმით), სადაც განისაზღვრება მხარეთა უფლებამოსილება.

7. ღონისძიების ხელმძღვანელი/ორგანიზატორი ვალდებულია:

ა) არასრულწლოვანს და მის კანონიერ წარმომადგენელს მიაწოდოს ამომწურავი/სრულყოფილი ინფორმაცია ღონისძიების მიზნების, დაგეგმილი აქტივობების და მხარეთა უფლება-მოვალეობების შესახებ;

ბ) სრულყოფილად ჰქონდეს არასრულწლოვანთა ანკეტური მონაცემები, მათ შორის სრულყოფილად შეაგროვოს ინფორმაცია არასრულწლოვანთა სპეციალური საჭიროებების შესახებ. პასუხისმგებლობა პერსონალური მონაცემების დაცვაზე განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8. გააკონტროლოს დაქირავებული პერსონალის (ლიდერ-ინსტრუქტორების, მეთვალყურეობის განმახორციელებელი პირის, გადამზიდავის) ცოდნა გადამყვანი ტრანსპორტისა და განთავსების ადგილის სავაჭურაო გეგმის შესახებ.

9. ღონისძიების ხელმძღვანელის/ორგანიზატორის მიერ დაქირავებულ პერსონალთან (ლიდერ/ინსტრუქტორებთან), გადამზიდავთან, არასრულწლოვანთა განთავსებისა და კვების ობიექტთან ურთიერთობები და მხარეთა პასუხისმგებლობა დარეგულირებული უნდა იყოს ხელშეკრულებით.

10. მიზანშეწონილია ღონისძიების პერიოდის და ადგილმდებარეობის შეტყობინება მუნიციპალიტეტისათვის, პოლიციისათვის, სახანძრო-სამაშველო დანაყოფისა და სასწრაფო დახმარების სამსახურისათვის.